

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ზუცხრიკიძე

„26“ 12 -----“ 2014 წელი

ეგზ. № 1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

აშ = 59/00

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	4
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა.....	5
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	10
ბაღდათის შიდა საქალაქო გზების მოწყობის სამუშაოები	10
განმეორებით გამოცხადებული ტენდერი	13
გამარტივებული შესყიდვების საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები	14
საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება.....	18
დასაგეგმი წლისათვის გამოცხადებული შესყიდვები	19
გადაუხდელი საიჯარო გადასახადი.....	20
დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.....	20
სოციალური დახმარების პროგრამა.....	21
სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით	22
არამიზნობრივი ხარჯი.....	23
საშემოსავლოს დაკავება	23
თანამშრომლებზე გაცემული პრემიები	23
აუდიტის დასკვნა -პირობითი დასკვნა	24
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	24
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	24

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობის და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

- ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;
- გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 23 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთი ქალაქს და 22 სოფელს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 815 კვ.კმ ტერიტორიას. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 28.5 ათასს¹. ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ბაღდათი.

¹ 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საბიუჯეტო პროცესის განხორციელება, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება, მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვა.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 ა(ა)იპ, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის წარმართვის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

ბაღდათის თვითმმართველ ერთეულს თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებს და სხვა შემოსულობებს.

შემოსულობები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. 2012-2013 წლებში სულ შემოსულობებმა შეადგინა 13691.5 ათასი ლარი. შემოსულობების 97% უჭირავს შემოსავლებს, ხოლო 3% წარმოადგენს არაფინანსური აქტივების კლებას. წლების მიხედვით აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:


ცხრილი 1. 2012-2013 წლის შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
შემოსულობა	6319.1	7372.4	13691.5
შემოსავლები	6133.1	7204.2	13337.3
გადასახადები	188.6	190.7	379.3
გრანტები	5435.6	6497.5	11933.1
სხვა შემოსავლები	508.9	516	1024.9
არაფინანსური აქტივების კლება	186	168,2	354.2

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები. სულ ბიუჯეტის შემოსავლების 89% წარმოადგენს გრანტის სახით მიღებული შემოსავალი, 3% წარმოადგენს გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი, ხოლო დანარჩენი 8% უჭირავს სხვა შემოსავლებს.

დიაგრამა 1: შემოსავლები 2012-2013 წწ. (ათასი ლარი)



2012 წელს გრანტი მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს 5411.1 ათასი ლარის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებულ გრანტს - 24.5 ათასი ლარის ოდენობით. 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 6497.5 ათასი ლარი. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს, წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად.

ცხრილი 2. 2012-2013 წელს მიღებული ტრანსფერები

ათასი ლარი


სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2012 წელი	2013 წელი	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	3018.6	3382.1	6400.7
მიზნობრივი ტრანსფერი	125.0	125.0	250.0
სპეციალური ტრანსფერი	2267.5	2990.4	5257.9
სულ:	5411.1	6497.5	11908.6

გადასახდელები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა 2012-2013 წლებში შეადგინა 12038.4 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯი შეადგენს 65%-ს, ხოლო 35% უჭირავს არაფინანსური აქტივების ზრდას.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:


დიაგრამა 2: ხარჯები 2012-2013 წწ. (ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლი 52%-ით და „სუბსიდიის“ მუხლი - 17%-ით.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2012-2013 წლებში წარმოდგენილია ქამური მაჩვენებლებით:



2012-2013 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 30% უჭირავს ეკონომიკურ საქმიანობას, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 29%, ხოლო დასვენება, კულტურა და რელიგია - 12%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები უჭირავს: თავდაცვას - 1%, გარემოს დაცვას - 3%, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4% და სოციალური დაცვა - 5%.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბაღდათის შიდა საქალაქო გზების მოწყობის სამუშაოები

2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე², ბაღდათის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2145.1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 2132.4 ათასი ლარი. შესყიდვა გულისხმობდა ბაღდათში შიდა საქალაქო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობის, ასევე სოფელ მეორე ოზჩაში³ არსებული საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ტენდერის შედეგად ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „ტერექსი XXI-ს“, თანხით 1655.0 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულების ვადად სოფელ მეორე ოზჩის გზის რეაბილიტაციისათვის განისაზღვრა 2013 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დანარჩენი სამუშაოებისათვის - 10 ნოემბერი. მიმწოდებელმა განსაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება, რის გამოც 27 ნოემბერს ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება და დაეკისრა პირგასამტეხლო 120.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა შემსრულებელმა არ გადაიხადა, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა 2014 წლის მაისში მიმართა სასამართლოს საჯარიმო სანქციის გადახდის მოთხოვნით.

ტენდერში წარმოდგენილი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელს ტენდერის მიმდინარეობის პერიოდში შესასრულებელი ჰქონდა 2040.7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო. ვალდებულებების ძირითადი ნაწილი აღებული იყო 2010 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით, თუმცა მათზე სამუშაოების მიწოდების ვადის გადაწევის გამო, ბაღდათის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების პერიოდშიც წარმოადგენდა მიმწოდებლის მიმდინარე ვალდებულებას:

² საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის № 311 განკარგულება.

³ საბუკის უბნიდან მეორე ოზჩის საჯარო სკოლამდე.

ცხრილი 3 . „ტერექსი XXI-ის“ ვალდებულებები

ათასი ლარი

შემსყიდველი ორგანიზაცია	წელი	სახელშეკრულებო თანხა	2013 წელს დარჩენილი ვალდებულება
საქართველოს გზების დეპარტამენტი	2010	2350.4	1364.2
საქართველოს გზების დეპარტამენტი	2012	414.4	252.6
საქართველოს გზების დეპარტამენტი	2013	970.3	423.9
სულ			2040.7

გარდა ამისა, 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით შპს „ტერექსი XXI-ს“ აღებული ჰქონდა 4130.5 ათასი ლარის⁴ სამუშაოების შესრულების ვალდებულება.

შპს „ტერექსი XXI-მა“ ტენდერში ვაჭრობის შედეგად საბოლოო ფასი დააფიქსირა სავარაუდო ღირებულებაზე 22%-ით ნაკლები. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების⁵ შესაბამისად, გამარჯვებულის მიერ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 20%-ით შემცირების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან - 10%-მდე ოდენობით. სავარაუდო ღირებულების მნიშვნელოვანი კლებისა და მიმწოდებლის მიმდინარე ვალდებულებების გათვალისწინებით, სასურველი იყო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის შეფასება და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მინიმალური ზღვრის (2%) ნაცვლად, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობის (10%-მდე) გამოყენება.

ზემოთ აღნიშნული რისკების გათვალისწინება შესაძლებელი იყო მუნიციპალიტეტის მიერ ავანსის გაცემის დროსაც. კერძოდ, შპს „ტერექსი XXI-ს“ სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე გადაერიცხა ავანსი, თანხით 496.5 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობა ითვალისწინებდა ავანსის გაცემის შესაძლებლობას სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 30%-ის ოდენობით. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში,

⁴ ვანის მუნიციპალიტეტი -1309.0 ათასი ლარი; ზესაფონის მუნიციპალიტეტი 1166.0 ათასი ლარი. ბაღდათის მუნიციპალიტეტი 1655.5 ათასი ლარი

⁵ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9.2011 წლის 7 აპრილი. 21-ე მუხლი, 2¹ პუნქტი.

მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ავანსის საჭიროების წერილობითი დასაბუთება. ამასთან, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო არ დაეკმაყოფილებინა თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე. მიმწოდებელს არ წარმოუდგენია ავანსის წერილობითი დასაბუთება, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ ავანსად გაცემულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის მაქსიმალური ოდენობა.

ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფს“ მოსთხოვა ავანსზე გაცემული 496.5 ათასი ლარის საბანკო გარანტიისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის - 33.0 ათასი ლარის ანაზღაურება. აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტის მოთხოვნა სადაზღვევო კომპანიის მიმართ არ იყო დაკმაყოფილებული.

ავანსზე გაცემული საბანკო გარანტიის პირობა ითვალისწინებდა გარანტიის ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოების გამოქვითვით. მიმწოდებელმა დაგვიანებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ წარადგინა შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2), ღირებულებით 203.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა წარმოდგენილი სამუშაოების მიღება-ჩაბარება, რადგან ფორმა №2-ს არ ახლდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა⁶. იმის გამო, რომ ვერ დასტურდება შესრულებული სამუშაოების ღირებულება, სადაზღვევო კომპანია მუნიციპალიტეტს არ უნაზღაურებს ავანსზე წარმოდგენილ გარანტიას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

მუნიციპალიტეტს სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, თავისუფალ ნაშთზე ერიცხება სარგებელი წლიური 14%. გაცემულ ავანსზე 2014 წლიდან 11 თვეზე დასარიცხი სარგებლით მუნიციპალიტეტი მიიღებდა მინიმუმ 60.0 ათასი ლარის შემოსავალს.

⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ექსპერტიზისთვის ვერ იქნა წარდგენილი ფარული სამუშაოს აქტები, რადგან აღნიშნული აქტები არ არის დადასტურებული მუნიციპალიტეტის მიერ, მათი დაგვიანებით წარმოდგენის გამო.

განმეორებით გამოცხადებული ტენდერი

2013 წლის დეკემბერში განმეორებით გამოცხადდა ტენდერი, ბაღდათში შიდა საქალაქო გზების ასფალტბეტონის საფარის მოწყობის, ასევე, სოფელ მეორე ოზხაში არსებული საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „ერლოკატ მაკედონია ა.ტ.ე.ვ.ე-ს საქართველოს ფილიალი“ და გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 1670.0 ათასი ლარი. კომპანიამ ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგინა სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფისგან“. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს შპს „ტერექს XXI-თან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფაგრლებში უკვე ჰქონდა მიმდინარე დავა სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფთან“ ხელშეკრულების შესრულების გარანტიისა და ავანსის მიღების თაობაზე. აქედან გამომდინარე, „არდი ჯგუფი“ მუნიციპალიტეტისთვის წარმოადგენდა არასაიმედო გარანტორს, შესაბამისად არსებობდა მაღალი რისკი, აღნიშნული ისევ განმეორებულიყო საბანკო გარანტიით განსაზღვრული პირობის დადგომისას. მიუხედავად ამისა, განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში, ხელშეკრულება გაფორმდა „არდი ჯგუფის“ მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის საფუძველზე. როგორც შესწავლილი დოკუმენტებით გაირკვა აღნიშნული რისკი დადასტურდა. კერძოდ, მიმწოდებელმა არ შეასრულა აღებული ვალდებულებები, ხოლო სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფმა“ არც განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში წარმოდგენილი ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია აუნაზღაურა მუნიციპალიტეტს.

სს „ერლოკატ მაკედონია ა.ტ.ე.ვ.ე-ს საქართველოს ფილიალთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 31 მაისი. მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რის გამოც ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება და დაეკისრა საჯარიმო სანქცია 66.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს მოსთხოვა საჯარიმო სანქციის გადახდა. ასევე, სადაზღვევო კომპანია შპს „არდი ჯგუფს“ მოსთხოვა ხელშეკრულების შესრულების გარანტიის - 33.4 ათასი ლარის ანაზღაურება.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის კომპანიებისგან არ არის მიღებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია და საჯარიმო სანქცია. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია დამატებითი ღონისძიებები თანხის მიღებასთან დაკავშირებით (მაგალითად, სასამართლოზე მიმართვა). გარდა ამისა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს შესყიდვების სააგენტოს, მიმწოდებლის ე.წ. „შავ სიაში“ შეყვანის მოთხოვნით. აღნიშნული პროცედურა მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

ამრიგად, 2013 წელს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 2145.1 ათასი ლარით მიმდინარე წელს უნდა განხორციელებულიყო შიდა საქალაქო გზების რეაბილიტაცია. კერძოდ, 17 ქუჩაზე ასფალტბეტონის მოწყობისა და სოფელ მეორე ოზჩაში გზის მოხრეშვის სამუშაოები. აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებას და მისი განხორციელების შედეგად ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეღო მნიშვნელოვანი სარგებელი. მუნიციპალიტეტმა 2013-2014 წლებში⁷ ვერ უზრუნველყო განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და განსაზღვრული მიზნის მიღწევა.

გამარტივებული შესყიდვების საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები

მუნიციპალიტეტმა 2012-2013 წლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 28 ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა 2588.7 ათასი ლარის სამშენებლო

⁷ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, 2014 წლის სექტემბერამდე.

სამუშაოების შესყიდვა.⁸ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1463 ბრძანებით, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილი სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. მუნიციპალიტეტის მიერ აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციით, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელდა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია 14 ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებლისთვის ანაზღაურებულ თანხაზე. წარმოდგენილი მასალებიდან, მხოლოდ 2 მიმწოდებლისთვის ანაზღაურებული თანხის დოკუმენტაციაა სრული, ხოლო დანარჩენ 12 ხელშეკრულებაზე მოწოდებული დოკუმენტები არასრულყოფილია და მათზე დაყრდნობით მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებდა ფაქტობრივი ხარჯის დათვლას. კერძოდ:

- მასალების შეძენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის თარიღები არ ემთხვევა სამუშაოების შესრულების პერიოდს (სამუშაოების შესრულების შემდგომი ან წინა პერიოდისაა და არ ახლავს შიდა გადაზიდვის დოკუმენტები), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია არასრულყოფილად.
- ხელფასის გაცემის უწყისეები არ არის დათარიღებული და ხელმოწერილი.
- საწვავის ხარჯვაზე წარმოდგენილია შეძენის დოკუმენტები, მაგრამ რა რაოდენობის საწავი დაიხარჯა კონკრეტულ სამუშაოზე, გამიჯვნა ვერ ხერხდება.
- ზოგიერთ შემთხვევაში დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებზე არ არის იჯარის ხელშეკრულებები, ხოლო არსებობის შემთხვევაში, მათზე არ არის წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

⁸ 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ 12 ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელა 1462.2 ათასი ლარის, ხოლო 2013 წელს 16 ხელშეკრულების ფარგლებში - 1126.5 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა

2012 წელს მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით შპს „საქმილსადენმშენისაგან“ შეისყიდა ბალდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზის 6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 960.0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, ღორღისა და ასფალტ/ბეტონის შეძენაზე არ არის წარმოდგენილი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიმწოდებელს სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული ღორღი მოპოვებული აქვს საკუთარი კარიერიდან, ასევე თვითონ აწარმოებს ასფალტბეტონის ნარევს. მიმწოდებლის მიერ კალკულაციებში დაფიქსირებული ღორღის ღირებულება (17-18 ლარი)⁹ უტოლდება მის საბაზრო ფასს და ნაკლებად სავარაუდოა, წარმოადგენდეს მოპოვებაზე გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯს. შესაბამისად, ვერ ხერხდება შესრულებული სამუშაოს აქტში ღორღისა და ასფალტბეტონის (192-217 ლარი)¹⁰ ღირებულების რეალობის დადგენა. ხარჯთაღრიცხვაში გაწერილი სამუშაოს მოცულობებისა და დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებში გადახდილი თანხების ფაქტობრივი დანახარჯების შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტმა შპს „საქმილსადენმშენს“ სავარაუდოდ ზედმეტად აუნაზღაურა 24.4 ათასი ლარი. კერძოდ:

➤ შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა №2) დაფიქსირებული მოცულობის გზის საფარის მოსაწყობად საჭირო იყო 3818.2 ტონა ასფალტბეტონი. ფაქტობრივი ხარჯის დოკუმენტების (სასაქონლო ზედნადებები) შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებელმა აღნიშნულ სამუშაოებზე გახარჯა 3739.5 ტონა ასფალტბეტონი. მათ შორის სხვაობა შეადგენს 79.22 ტონას. აღნიშნული სხვაობის გამო, მიმწოდებელს სავარაუდოდ ზედმეტად აქვს ანაზღაურებული 17.2 ათასი ლარი.

➤ შპს „საქმილსადენმშენს“ სამუშაოების შესასრულებლად გამოყენებული აქვს დაქირავებული მანქანა-მექანიზმები, ღირებულებით 28.1 ათასი ლარი.

⁹ 0.40 მმ-იანი ღორღი: კუბ.მ -17ლ, 12-16 მმ-იანი ღორღი: კუბ.მ - 18 ლარი.

¹⁰ წვრილმარცვლოვანი ასფალტ/ბეტონი 1 ტონა -217ლარი, მსხვილმარცვლოვანი ასფალტ/ბეტონი 1 ტონა- 192 ლარი.

შესრულებულ სამუშაოს აქტში, მასზე დარიცხულია გეგმური მოგება და ზედნადები ხარჯი. ბრძანების მიხედვით, დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებში გადახდილ თანხებს, შესრულებულ სამუშაოს აქტებში არ უნდა დაერიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება. აღნიშნული მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივი ხარჯის დათვლის დროს არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებზე დარიცხული 6.2 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდოდ ზედმეტად არის ანაზღაურებული.

➤ მიმწოდებელს გაცემულ ხელფასზე წარმოდგენილი აქვს უწყისები, რომლებიც არ არის მეორე მხარის მიერ ხელმოწერით დადასტურებული. ასევე არ არის წარმოდგენილი სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გაცემული ხელფასის ხარჯის რეალობას. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გაცემული ხელფასის ხარჯის დაანგარიშებისას, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, დაშვებულია არითმეტიკული შეცდომა. აღნიშნულის შედეგად, დარიცხვების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მიერ სავარაუდოდ ზედმეტად არის ანაზღაურებული 1.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული 28 ხელშეკრულებიდან, 14 მათგანზე თანხით 919.7 ათასი ლარი, ვერ წარმოადგინა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, 12 ხელშეკრულებაზე, თანხით 655.5 ათასი ლარი, წარმოდგენილი დოკუმენტები არასრულყოფილია და არ იძლევა ფაქტობრივი ხარჯის დათვლის საშუალებას. 2 ხელშეკრულებაზე, თანხით 1013.5 ათასი ლარი, რომელთა დოკუმენტაცია წარმოდგენილია სრულად, ფაქტობრივი ხარჯის დათვლისას აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლინდა მიმწოდებელზე ზედმეტად ანაზღაურებული რამდენიმე ათასი ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ მათი სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში გამოვლინდეს მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე სხვა ზედმეტად ანაზღაურებული თანხები,

შესაბამისად, საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ბაღდათი-ვანი-დაფნარის საავტომობილო გზა წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას,¹¹ რომლის შეკეთებას, მოვლა-შენახვას, საექსპლუატაციოდ მიღებასა და საჭირო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“¹² და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვარის №1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ დებულება. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ გზაზე ჩატარებული სამუშაოების მიღება ზემოთ აღნიშნული დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად არ განხორციელებულა. კერძოდ:

- არ იქნა შერჩეული საზედამხედველო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ზედამხედველობას საგზაო სამუშაოების შესრულებაზე;
- მუნიციპალიტეტის მიერ არ იქნა შემოწმებული გამოყენებული მასალების, შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი და სხვა მაჩვენებლები (ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური);
- არ შემოწმებულა გამოყენებული მასალების შესაბამისობა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან.

საკრებულოს დეპუტატების ხარჯების ანაზღაურება

2012 წელს საკრებულოს დეპუტატების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება განხორციელდა საკრებულოს განკარგულებით¹³ დამტკიცებული ხარჯების ანაზღაურების წესის საფუძველზე. 2013 წლის 14 თებერვალს მიღებული

¹¹ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების წესის“ მიხედვით

¹² მუხლი 26.

¹³ 2010 წლის 26 ივლისის №38 განკარგულება - „საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“.

დადგენილებით საკრებულოს ყველა წევრს, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილისა, საკრებულოს სხდომებში ან მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად განესაზღვრა ხარჯების ანაზღაურების ლიმიტი - თვეში 200 ლარის ოდენობით.

2013 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, ხარჯის ანაზღაურების სახით, ყოველთვიურად მიღებული აქვთ ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა. სულ წლის განმავლობაში 46.8 ათასი ლარი, რომელიც ბუღალტერიაში გატარებულია, როგორც წარმომადგენლობითი ხარჯი და ჩამოწერილია ხარჯებში ისე, რომ თანხის მიმღებების მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებს 2012-2013 წლებში პრემიის სახით მიღებული აქვთ 13.3 ათასი ლარი. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საკრებულოს წევრი¹⁴ თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, პრემია წარმოადგენს შრომის ანაზღაურების (ხელფასის) ერთ-ერთ სახეს. შესაბამისად, არაანაზღაურებად წევრებზე პრემიის გაცემა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

დასაგეგმი წლისათვის გამოცხადებული შესყიდვები

2012 წლის სექტემბერში ბაღდათის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა სამი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მომდევნო წლის ბიუჯეტით განსახორციელებელ შესყიდვებზე, ჯამური ღირებულებით 89.8 ათასი ლარი. ტენდერების შედეგად ხელშეკრულებები გაუფორმდა შემდეგ მიმწოდებლებს: ავტოსატრანსპორტო მომსახურების შესყიდვაზე - შპს „ტრანსპორტი 2008-ს“, ღირებულებით 20.0 ათასი ლარი, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოებზე ი/მ „ავთანდილ კოხომეს“, ღირებულებით 30.0 ათასი ლარი,

¹⁴ გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა.

ასევე უმწეოთა უფასო სასადილოს მომსახურებაზე ი/მ „ვალერი ენდელაძეს“, თანხით 39.8 ათასი ლარი.

კანონმდებლობის თანახმად¹⁵, შემსყიდველი ორგანიზაცია მომდევნო წლის შესყიდვების გეგმას შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა. შემსყიდველ ორგანიზაციას ამის შემდეგ შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება. შესყიდვების წლიური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს.

მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის პირველი პროექტი წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა ნოემბერში. 2012 წლის სექტემბერში შესყიდვების გეგმა ვერ იქნებოდა ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი. ამრიგად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ დასაგეგმი წლის განმავლობაში განსახორციელებელი 89.8 ათასი ლარის შესყიდვა გამოცხადდა კანონმდებლობის დარღვევით.

გადაუხდელი საიჯარო გადასახადი

2012-2013 წლებში მოიჯარებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ადგილობრივ ბიუჯეტში საიჯარო გადასახადის სახით მობილიზებული უნდა ყოფილიყო 52.4 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარებმა საიჯარო თანხა უნდა გადაიხადონ ყოველთვიურად ან ზოგ შემთხვევაში ყოველკვარტალურად. შესწავლილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ზოგიერთ მოიჯარეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში საიჯარო გადასახადი საერთოდ არ გადაუხდია ან გადახდილი აქვს დაგვიანებით. 2012 წელს მოიჯარეების მიერ გადაუხდელი საიჯარო გადასახადი შეადგენს 4.6 ათას ლარს, ხოლო 2013 წელს - 3.1 ათას ლარს.

დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

2012 წელს სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა, შპს

¹⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

„თელამ“. გამარჯვებულს სატენდერო კომისიამ ორჯერ მისცა ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების შესაძლებლობა. კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, შპს „კავკასუს ინვესტმა“ იმ მიზეზით, რომ მიმწოდებელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჰქონდა ხარჯთაღრიცხვის ორჯერ დაზუსტების უფლება. სატენდერო კომისიამ დააკმაყოფილა შპს „კავკასუს ინვესტის“ მოთხოვნა და დისკვალიფიკაცია მიანიჭა შპს „თელას“. ხელშეკრულება სამუშაოების შესრულებაზე გაუფორმდა შპს „კავკასუს ინვესტს“, ღირებულებით 212.9 ათასი ლარი. სხვაობა პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებულ ფასებს შორის შეადგენდა 40.1 ათას ლარს (23%). შესყიდვების კანონმდებლობით, გამარჯვებულის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის შემოთავაზებული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებულის შემოთავაზებულ ფასს, კომისიას შეუძლია შეწყვიტოს ტენდერი. სატენდერო კომისიას შეეძლო შეეწყვიტა ტენდერი და აღნიშნული გარემოება გაეთვალისწინებინა ტენდერის თავიდან გამოცხადებისას, რითაც სავარაუდოდ შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო თანხების დაზოგვა.

2012 წელს ანალოგიური მიზეზით, ბაღდათში გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერში დისკვალიფიკაცია მიენიჭა გამარჯვებულ ი/მ „შოთა ჯიხვაძეს“, ხოლო ხელშეკრულება გაუფორმდა მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრედენდენტს, შპს „გუნგლს“, თანხით 39.0 ათასი ლარი. სხვაობა პრეტენდენტების მიერ შემოთავაზებულ ფასებს შორის შეადგენს 9.5 ათას ლარს (32%).

სოციალური დახმარების პროგრამა

2012-2013 წლებში 12 სხვადასხვა სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემულია 609.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტი სოციალური დახმარების გაცემის დროს სარგებლობს 2009 წელს გამგებლის ბრძანებით დამტკიცებული „ბაღდათის რეგიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველ, გაჭირვებულთა და ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების მიმღები კონტიგენტის განსაზღვრისა და თანხის გაცემის წესის“ მიხედვით. აღნიშნული წესით,

ზოგადად არის განსაზღვრული დახმარების მიმღებ პირთა კონტინგენტი, არ არის გაწერილი პროგრამის მიზანი, თანხის გაცემის წესი და კრიტერიუმები, გასაცემი დახმარების ზღვრული ოდენობები და ა.შ. ამასთან წესი არ მოიცავს ყველა იმ პროგრამას, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტმა 2012-2013 წლებში განახორციელა დახმარების გაცემა.

დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ დახმარების მსურველთა დაკმაყოფილების შესაძლებლობა და გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრთა შეხედულებისა და რწმუნებულის რეკომენდაციის საფუძველზე. ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემულია სხვადასხვა ოდენობის თანხა. იმის გამო, რომ არ არსებობს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება დახმარების მიმღებთა კონტინგენტი და გასაცემი თანხის ოდენობა, ვერ დგინდება რამდენად სამართლიანად არის გაცემული თანხები სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულებით აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოების ცენტრალურ აპარატებს, სამსახურებრივი მიმოსვლისათვის საჭირო მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა 150-225 ერთეული საშტატო რიცხოვნობისას, განსაზღვრული აქვთ 4 ერთეულით.

2012-2013 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 171-177 ერთეულს. მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს, თანამშრომლების სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ბალანსზე ერიცხებოდა 13 ერთეული ავტომანქანა¹⁶. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2012-2013 წლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტს სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ემსახურებოდა ავტომანქანები, კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივის ზევით.

¹⁶ მათ შორის, 2 ამორტიზებულია.

არამიზნობრივი ხარჯი

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტმა ი/მ „ამირან ქოჩიაშვილთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გასწია 6.8 ათასი ლარის დანახარჯი იმ სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენაზე, რომლებიც შემდეგ არ განხორციელებულა. მათ შორის, 2012 წელს ი/მ „ამირან ქოჩიაშვილთან“ გააფორმა ხელშეკრულება, ღირებულებით 5.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელმა განახორციელა „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში შესასრულებელი 29 სხვადასახვა სამუშაოს საპროექტო ხარჯთაღრიცხვის შედგენა. მუნიციპალიტეტმა შესყიდული პროექტებიდან გამოიყენა მხოლოდ 6 საპროექტო ხარჯთაღრიცხვა და მასზე განახორციელა სამუშაოების შესყიდვა. დანარჩენ 23 პროექტზე ღირებულებით - 3.7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტს 2012-2013 წლებში შესყიდვა არ განუხორციელებია.

საშემოსავლოს დაკავება

2012 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის პირველ ივლისამდე, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამშრომლებს არასამსახურებრივ ავტომანქანებზე მიღებული აქვთ 2.5 ათასი ლიტრი საწვავი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული სარგებელი განეკუთვნება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს და ექვემდებარება დაბეგვრას კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, გამგეობას კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება არ განუხორციელებია.

სხვა საკითხების ხაზგასმის პარაგრაფი

თანამშრომლებზე გაცემული პრემიები

2012-2013 წლებში შრომის ანაზღაურების მუხლიდან პრემიის სახით მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაცემულია 526.2 ათასი ლარი, რაც შრომის

ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხის 19%-ს შეადგენს. მათ შორის 2012 წელს პრემიის სახით გაცემულია 187.7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს 338.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებზე პრემიის გაცემის საფუძველს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება, რომელშიც არ არის განმარტებული თანამშრომლების წახალისების მიზეზი ან კონკრეტული მიღწევები.

აუდიტის დასკვნა -პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი:

ირმა ხეცურიანი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ქრისტინე ეკალაძე



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ბარამ ონიანი



ხელმოწერა 24.12.2014 თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე

ხელმოწერა 24.17.2014 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ალეკო იოზიძე

ხელმოწერა 24.17.2014 თარიღი